

ა.ა.ი.პ „საქართველოს რაგბის კავშირი“-ს
სადისციპლინო კომისიის სხდომის ოქმი № 15

ქ.თბილისი

2020 წლის 11 ნოემბერი

სადისციპლინო კომისიის სხდომა ჩატარდა 2020 წლის 11 ნოემბერს, სხდომა ჩატარდა დისტანციურ სამუშაო რეჟიმში.

სადისციპლინო კომისიის სხდომა მოწვეულ იქნა კომისიის თავმჯდომარის დავალებით, სადისციპლინო კომისიის წევრებისთვის შეტყობინებისა და დღის წესრიგის გაგზავნის გზით.

ონლაინ რეჟიმში სხდომაში მონაწილეობდა კომისიის 6 წევრი. სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის მე-5 მუხლის 5.11. პუნქტის თანახმად, სხდომა გამოცხადდა გადაწყვეტილებათუარინანად, ამის გამო არცერთ მონაწილე წევრს პრეტენზია არ გამოუთქვამს.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრები: მირიან თავზარაშვილი, ირაკლი ჩიქავა, აკაკი კერესელიძე, ლაშა მაჭავარიანი, ედუარდ ნაჭყებია, ვახტანგ სამხარაძე.

სხდომას უძღვებოდა კომისიის თავმჯდომარე, მირიან თავზარაშვილი.

სადისციპლინო კომისიამ ზემოაღნიშნული შემადგენლობით, განიხილა მატჩის მეთვალყურის ნ. ელოშვილის ოქმი და საითინგი, მატჩის მეოთხე მსაჯის ი. ჯაფარიძის საითინგი, ამა წლის 8 ნოემბერს, დიდი 10-ს მატჩზე, თბ „ლოკომოტივი“-სა და კიკეთის „იუნკერები“-ს შორის, მომხდარი ფაქტის შესახებ.

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

1. თბ „ლოკომოტივი“-ს წარმომადგენელი გიორგი ასათიანი - მატჩის ოფიციალურ პირთა გადაწყვეტილებებზე საჯაროდ აპელირება.

სადისციპლინო კომისიამ იხელმძღვანელა სრკ სადისციპლინო კოდექსის 2.1.2, პუნქტით და მიიღო შემდეგი

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

1. თბ „ლოკომოტივი“-ს წარმომადგენელი გიორგი ასათიანი დისკვალიფიცირებული იქნას 2(ორი) სათამაშო კვირით, ხოლო გუნდი დაჯარიმდეს 300(სამასი) ლარით.
2. საჯარიმო თანხის გადახდის ვადა განისაზღვროს 2020 წლის 11 დეკემბრამდე.
3. საჯარიმო თანხის მითითებულ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, თბ „ლოკომოტივი“-ს მიმართ ამოქმედდება სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის 3.3 პუნქტი.

სრკ სადისციპლინო კომისიის თავმჯდომარე



/მ.თავზარაშვილი/